სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/25

(ოქმი N 29)

ქ. ბათუმი

19.12.2019წ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35^7-ე მუხლის სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორის, 2019 წლის 16 დეკემბრის N 02-19/3117 წერილის საფუძველზე:

1. შეთანხმებულ იქნას სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მიერ ტელერადიოპროდუქციისა ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვის წესში/დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი, დანართის შესაბამისად;

2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30) ერთი თვის განმავლობაში მისი გამოქვეყნების დღიდან;

3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე ,,ajaratv.ge'';

4. გადაწყვეტილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის

და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

გიგა ჩხარტიშვილი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ ტელერადიოპროდუქციისა ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვის წესის/დებულების ცვლილების პროექტი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ ტელერადიოპროდუქციისა ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვის წესში/დებულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1.

25-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ამ წესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.”